

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N29-30, 9.07.1997, გვ. 15) შეტანილ რქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მუ-2 მუხლს დაემატოს 1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

1) ამ მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება არ ეორცელდება;

ა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, რომლებზეც განთავსებულია სახელმწიფო ქონება;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემულ საცხოვრებელ სახლებსა და ბინებზე;

გ) სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად გადაცემულ უმკვიდროდ დარჩენილ საცხოვრებელ სახლებსა და ბინებზე.“

2. მუ-3 მუხლის მუ-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების პარგნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებები, გარდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა, გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საწარმოთა მართვის სააგენტოს, რომლის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ნიშნავს საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს და ამტკიცებს სააგენტოს დებულებასა და სტრუქტურას. საწარმოთა მართვის სააგენტოდან სხვა სუბიექტებზე აქციებისა და წილების მართვის უფლებები გადაეცემა წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.“

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქველდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. ეს კანონი (გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა) ამოქველდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.